საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

1/101

31/03/2021

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2021 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) სისტემაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2021 წლის სამოქმედო გეგმა დანართის შესაბამისად.
2. ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართით განსაზღვრულ სამინისტროს სისტემის დანაყოფებს დაევალოს გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესაბამის ვადაში შესრულება.
3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძეს.
4. ბრძანება გაეცნოს დაინტერესებულ პირებს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი დაინტერესებულ პირთათვის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი №64).

მინისტრი
ვახტანგ გომელაური

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სამოქმედო გეგმა 2021 წლისთვის

ადამიანის უფლებათა დაცვის რიგით მეორე ეროვნული სტრატეგია 2021-2030 წლებისთვის ხაზს უსვამს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სისტემური გარანტიების გაძლიერების და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მათი მონაწილეობის გაზრდის საჭიროებას. ამისათვის კი აუცილებელია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების დაცვის მიმართულებით ერთიანი, სისტემური და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი პოლიტიკის დანერგვა. ასევე, უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს მსგავსი პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში უშუალოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ეფექტიანი ჩართულობის უზრუნველყოფა.

2014 წელს საქართველომ „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის რატიფიკაცია განახორციელა, რითიც, ერთი მხრივ, ქვეყანამ აღიარა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები, ხოლო, მეორე მხრივ, იკისრა რიგი ვალდებულებები, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

ამას გარდა, 2020 წელს მიღებული კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ მნიშვნელოვნად აუმჯობესებს შშმ პირთა უფლებრივ გარანტიებს ეროვნულ დონეზე. აღნიშნული კანონის მიზანი შშმ პირთა სამართლებრივი მდგომარეობის მოწესრიგება, მათი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად საკანონმდებლო გარანტიების შექმნა და საქართველოს კანონმდებლობაში „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაერო-ს კონვენციის ძირითადი პრინციპებისა და ღირებულებების ასახვაა. ამისათვის კანონი ითვალისწინებს რიგ ვალდებულებებს სახელმწიფო უწყებებთან, მათ შორის საგამოძიებო ორგანოებთან და შესაბამისად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან (შემდგომ - სამინისტრო) მიმართებით:

- შშმ პირთათვის სამართალწარმოების ხელმისწვდომობის უზრუნველყოფა სხვადასხვა ეტაპზე
- შშმ მოწმესთან, დაზარალებულთან და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტისა და მეთოდიკის შემუშავება
- არასრულწლოვან შშმ მოწმესთან, დაზარალებულსა და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტისა და მეთოდიკის შემუშავება
- დროებითი მოთავსების იზოლატორებში შშმ პირთა საჭიროებების გათვალისწინება

კანონი ვალდებულებებს აკისრებს აგრეთვე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს, უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციებისას შშმ პირთა საჭიროებების გათვალისწინება, მათ საჭიროებებზე ორიენტირებული ღონისძიებების შემუშავება, ზედამხედველობა და განხორციელების მხარდაჭერა.

აღსანიშნავია, რომ სამინისტროს საქმიანობის მთავარი მიზანი ადამიანის უფლებების - როგორც უმთავრესი ღირებულების დაცვაა. იგი აღიარებს ყველა ადამიანის უფლებას, ყოველგვარი განსხვავებულობის გარეშე ისარგებლოს ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებით. შესაბამისად, სამინისტრო იაზრებს შშმ პირთათვის ამ უფლებებით დისკრიმინაციის გარეშე სარგებლობის უზრუნველყოფის საჭიროებასაც და დგამს ქმედით ნაბიჯებს სამინისტროს საქმიანობის სფეროში აღნიშნულ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

სამინისტროსთვის ნათელია, რომ დასახული მიზნის მისაღწევად უმნიშვნელოვანესია შშმ პირებთან აქტიური კომუნიკაცია, ადაპტირების სამუშაოების დაგეგმვისას და სამოქმედო გეგმების შედგენისას მათი უშუალო ჩართულობა და მათგან მიღებული რეკომენდაციები. სწორედ ამიტომ, სამინისტრო გეგმავს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2021 წლის სამოქმედო გეგმის“ იმპლემენტაციის პროცესში, ასევე მომდევნო წლის სამოქმედო გეგმის შედგენისას ითანამშრომლოს შშმ პირებთან, მათ წარმომადგენლობით ორგანიზაციებთან და ამ სფეროში მომუშავე სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

სამინისტრო ორიენტირებულია უზრუნველყოს შშმ პირთათვის სამართალწარმოების პროცესის ხელმისაწვდომობა. ამ მიზნით, იგეგმება გამოძიების ეტაპზე შშმ მოწმესთან, დაზარალებულთან და ბრალდებულთან კომუნიკაციის სტანდარტის შესახებ რეკომენდაციების შემუშავება.

სამინისტრო აცნობიერებს რა დასახული მიზნების მისაღწევად შესაბამისი ცოდნისა და კვალიფიციური კადრების არსებობის საჭიროებას, გეგმავს სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა შშმ პირთა საჭიროებებზე ორიენტირებული მომზადება/გადამზადების პროგრამების შემუშავებასა და დანერგვას. სამინისტროსთვის, ასევე, პრიორიტეტულია არსებული სერვისების ადაპტირება შშმ პირთათვის მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

სამინისტროსთვის ცხადია, რომ დასახული მიზნების მიღწევა არის მის სისტემაში შშმ პირთა უფლებების დაცვისა და რეალიზების გარანტი.

აღნიშნული ხედვის განსახორციელებლად, „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაერო-ს კონვენციის და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით დაკისრებულ ვალდებულებათა შესასრულებლად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიმუშავა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2021 წლის სამოქმედო გეგმა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2021 წლის

სამოქმედო გეგმა

მიზანი 1.		**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სამართალწარმოებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა**						
ამოცანა 1.1.		**სამართალწარმოების ეტაპზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების გათვალისწინება**						
აქტივობა		**აქტივობის შედეგის ინდიკატორი**		**დადასტურების წყარო**	**პასუხისმგებელი დანაყოფი**	**პარტნიორი დანაყოფი/უწყება**	**შესრულების ვადა**	**დაფინანსების წყარო**
1.1.1.	შშმ პირებთან მუშაობის სტანდარტისა და მეთოდიკის შემუშავება	**1.1.1.1.**	შესწავლილია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა და სტანდარტები გამოძიების ეტაპზე შშმ პირთათვის სამართალწარმოების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით	კვლევის ანგარიში	ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი იურიდიული დეპარტამენტი საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი		II კვარტალი	ადმინისტრაციული რესურსი
		1.1.1.2.	შემუშავებულია რეკომენდაციები გამოძიების ეტაპზე შშმ მოწმესთან, დაზარალებულთან და ბრალდებულთან კომუნიკაციის სტანდარტის შესახებ	შემუშავებული რეკომენდაცია	ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი	საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი	III კვარტალი	ადმინისტრაციული რესურსი დონორული მხარდაჭერა
		1.1.1.3.	შემუშავებულია რეკომენდაციები გამოძიების ეტაპზე შშმ არასრულწლოვან მოწმესთან, დაზარალებულთან და ბრალდებულთან კომუნიკაციის სტანდარტის შესახებ	შემუშავებული რეკომენდაცია	ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი	საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი	III კვარტალი	ადმინისტრაციული რესურსი დონორული მხარდაჭერა

1.1.2.	დროებითი მოთავსების იზოლატორებში შშმ პირთა მისაწვდომობის გაზრდა და საჭიროებებზე მორგებული მიდგომის დანერგვა	1.1.2.1.	ჩატარებულია კვლევა დროებითი მოთავსების იზოლატორებში შშმ პირთა საჭიროებებზე მორგებული ინფრასტრუქტურისა და საყოფაცხოვრებო პირობების შესწავლის მიზნით	შიდაუწყებრივი ანგარიში	დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტი	საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი	IV კვარტალი	ადმინისტრაციული რესურსი დონორული მხარდაჭერა
		1.1.2.2.	დასრულებულია შშმ პირების საჭიროებებზე მორგებული ინფრასტრუქტურის მქონე ერთი ახალი იზოლატორის მშენებლობა	1 ახალი იზოლატორი	დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტი		III კვარტალი	სახელმწიფო ბიუჯეტი ადმინისტრაციული რესურსი
მიზანი 2.	**მოსალოდნელი საგანგებო სიტუაციებისას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების გათვალისწინება**							
ამოცანა 2.1.	**საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებზე ორიენტირებული ღონისძიებების შემუშავების ზედამხედველობა და მათი განხორციელების მხარდაჭერა**							
აქტივობა		**აქტივობის შედეგის ინდიკატორი**		**დადასტურების წყარო**	**პასუხისმგებელი დანაყოფი**	**პარტნიორი დანაყოფი/უწყება**	**შესრულების ვადა**	**დაფინანსების წყარო**
2.1.1.	მონიტორინგი უწყებრივ საგანგებო მართვის გეგმებში შშმ პირთა საჭიროებებზე ორიენტირებული ღონისძიებების გათვალისწინების კუთხით	2.1.1.1.	შესწავლილია საერთაშორისო სტანდარტები და პრაქტიკა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმებში შშმ პირთა საჭიროებებზე ორიენტირებული ღონისძიებების შემუშავების ზედამხედველობის და მათი განხორციელების მხარდაჭერის მიზნით	შიდაუწყებრივი ანგარიში	სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური	საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი	IV კვარტალი	ადმინისტრაციული რესურსი დონორული მხარდაჭერა
2.1.2.	შშმ პირთა სწავლება სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში	2.1.2.1.	ჩატარებული სულ მცირე 3 ტრენინგი რესურს სკოლებში შშმ ბავშვებისთვის სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში საბაზისო უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით	ტრენერების მიერ მომზადებული ტრენინგების ანგარიშები	სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური		IV კვარტალი	ადმინისტრაციული რესურსი
მიზანი 3.	**სამინისტროს სერვისებზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა**							
ამოცანა 3.1.	**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებაზე მორგებული კომუნიკაციის და ინფორმაციაზე მისაწვდომობის უზრუნველყოფა**							

აქტივობა		აქტივობის შედეგის ინდიკატორი		დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი დანაყოფი	პარტნიორი დანაყოფი/უწყება	შესრულების ვადა	დაფინანსების წყარო
3.1.1.	შშმ პირთა საჭიროებების შესწავლა, სამინისტროს სერვისებზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მისაწვდომობის გაზრდის/უზრუნველყოფის მიზნით	**3.1.1.1.**	შესწავლილია საჭიროებები სსიპ შსს მომსახურების სააგენტოში შშმ პირთა საჭიროებებზე მორგებული სერვისების მიწოდების მიზნით და შემუშავებულია შესაბამისი რეკომენდაციები	შიდაუწყებრივი ანგარიში	სსიპ შსს-ს მომსახურების სააგენტო	საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი	IV კვარტალი	ადმინისტრაციული რესურსი დონორული მხარდაჭერა
		3.1.1.2.	დაწყებულია სამუშაოები გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით, საკონსულტაციო კომპანია GEC-ის მიერ მომზადებული *„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ერთიანი მომსახურების ცენტრის მომსახურებების მიწოდებისას შშმ პირებისათვის ხელმისაწვდომობისა და საჭიროებების შეფასების“* 2020 წლის ანგარიშის შესრულების მიზნით	შიდაუწყებრივი ანგარიში	საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი		III კვარტალი	ადმინისტრაციული რესურსი
		3.1.1.3.	დანერგილია ყრუ და სმენადაქვეითებულ პირთა ვიდეო-ზარით მომსახურების მოდელი/სერვისი საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის „ქოლ-ცენტრში“	შესაძლებელია სმენადაქვეითებულ პირთა ვიდეო-ზარით მომსახურება	საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი		III კვარტალი	ადმინისტრაციული რესურსი სახელმწიფო ბიუჯეტი
3.1.2.	ინფორმაციისმისაწვდომობის უზრუნველყოფა	**3.1.2.1.**	შესწავლილია სამინისტროს სისტემის ოფიციალური ვებგვერდები შშმ პირთათვის ინფორმაციის მისაწვდომობის კუთხით და შემუშავებულია რეკომენდაციები ვებგვერდების ადაპტირების მიზნით	შიდაუწყებრივი ანგარიში	ადმინისტრაცია (დეპარტამენტი) სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი სამინისტროს სსიპ-ები და სსდ-ები	ეკონომიკური დეპარტამენტი საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი	III კვარტალი	ადმინისტრაციული რესურსი დონორული მხარდაჭერა
		3.1.2.2.	დაწყებულია შესაბამისი ფინანსური რესურსის მოძიება შშმ პირთა საჭიროებებზე მორგებული სამინისტროს სისტემის ვებგვერდების შემუშავებისათვის	შიდაუწყებრივი ანგარიში	ეკონომიკური დეპარტამენტი საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი სამინისტროს სსიპ-ები და სსდ-ები	ადმინისტრაცია (დეპარტამენტი) სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი	IV კვარტალი	ადმინისტრაციული რესურსი დონორული მხარდაჭერა

						საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი		
		3.1.2.3.	დაწყებულია სამუშაოები სამინისტროს ბრიფინგების სურდოთარგმანით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით	შიდაუწყებრივი ანგარიში	სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი ეკონომიკური დეპარტამენტი		IV კვარტალი	ადმინისტრაციული რესურსი
		3.1.2.4.	შესწავლილია საჭიროებები შშმ პირთათვის ადაპტირებული კორესპონდენციის მისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით	შშმ პირებთან ჩატარებული შეხვედრები/კონსულტაციები შიდაუწყებრივი ანგარიში	ადმინისტრაცია (დეპარტამენტი) საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი	შშმ პირთა წარმომადგენლობითი ორგანიზაციები	IV კვარტალი	ადმინისტრაციული რესურსი

მიზანი 4.	სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა საჭირო უნარების განვითარება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან ურთიერთობისათვის
ამოცანა 4.1.	სამინისტროს მოსამსახურეთა მომზადება/გადამზადება

აქტივობა		აქტივობის შედეგის ინდიკატორი		დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი დანაყოფი	პარტნიორი დანაყოფი/უწყება	შესრულების ვადა	დაფინანსების წყარო
4.1.1.	მოსამსახურეთა მომზადება-გადამზადების სასწავლო მოდულებისა და პროგრამების შეფასება, ანალიზი და საჭიროებისამებრ განახლება/გაუმჯობესება	4.1.1.1.	შეფასებულია შსს აკადემიაში არსებული სასწავლო მოდული შშმ პირებთან კომუნიკაციის თავისებურებების შესახებ	სასწავლო მოდულის შეფასების ანგარიში	სსიპ შსს აკადემია	საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი	IV კვარტალი	ადმინისტრაციული რესურსი დონორული მხარდაჭერა
		4.1.1.2.	განახლებულია შსს აკადემიაში არსებული სასწავლო მოდული შშმ პირებთან კომუნიკაციის თავისებურებების შესახებ და დაწყებულია ახალი პროგრამის პილოტირება	განახლებული / შემუშავებული სასწავლო მოდული	სსიპ შსს აკადემია		IV კვარტალი	ადმინისტრაციული რესურსი

		4.1.1.3.	მოძიებულია ექსპერტი შშმ პირებთან კომუნიკაციის, ქცევის პროტოკოლის, ეთიკისა და მოპყრობის საკითხებზე საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისა და სსიპ მომსახურების სააგენტოს მოსამსახურეთათვის შესაბამისი მომზადება-გადამზადების საჭიროების შესწავლის მიზნით	შიდაუწყებრივი ანგარიში	საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი სსიპ შსს მომსახურების სააგენტო	საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი სსიპ შსს აკადემია	IV კვარტალი	ადმინისტრაციული რესურსი დონორული მხარდაჭერა
4.1.2.	მოსამსახურეთა სწავლება	4.1.2.1.	გადამზადდნენ გამომძიებლები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, მათ შორის არასრულწლოვან, მოწმესთან, დაზარალებულთან და ბრალდებულთან კომუნიკაციის სტანდარტის შესახებ	ჩატარდა სულ მცირე 2 ტრენინგი	ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამომძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი	სსიპ შსს აკადემია საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი	IV კვარტალი	ადმინისტრაციული რესურსი დონორული მხარდაჭერა სახელმწიფო ბიუჯეტი

მიზანი 5.	**არსებული შენობა-ნაგებობებისა და სხვა სახის ინფრასტრუქტურის მისაწვდომობის უზრუნველყოფა**
ამოცანა 5.1.	**შინაგან საქმეთა სამინისტროს ბალანსზე არსებული ინფრასტრუქტურის ადაპტირება**

აქტივობა		**აქტივობის შედეგის ინდიკატორი**		**დადასტურების წყარო**	**პასუხისმგებელი დანაყოფი**	**პარტნიორი დანაყოფი/უწყება**	**შესრულების ვადა**	**დაფინანსების წყარო**
5.1.1.	ფიზიკური გარემოს ან/და ინფრასტრუქტურის მისაწვდომობის უზრუნველყოფა	5.1.1.1.	შესწავლილია სსიპ მომსახურების სააგენტოს დაქვემდებარებაში არსებული ერთი (ქ. რუსთავი) და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ერთი შენობა-ნაგებობების ადაპტირების საჭიროებები	შიდაუწყებრივი ანგარიში	სსიპ მომსახურების სააგენტო საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი		III-IV კვარტალი	ადმინისტრაციული რესურსი
		5.1.1.2.	დაწყებულია სამინისტროს არსებული ინფრასტრუქტურის შესწავლა/აუდიტი და ეტაპობრივად გამოვლენილია საჭიროებები შენობა-ნაგებობების ადაპტირების ან უნივერსალური დიზაინით უზრუნველყოფისათვის	შიდაუწყებრივი ანგარიში	ლოჯისტიკის დეპარტამენტი სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური		IV კვარტალი	ადმინისტრაციული რესურსი
		5.1.1.3.	გამოვლენილია საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ერთიანი მომსახურების ცენტრის ინფრასტრუქტურის მისაწვდომობის კუთხით არსებული ხარვეზები და განხორციელებულია პანდუსების და სხვა ნაგებობის მოდიფიკაციები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად	რეაბილიტირებული პანდუსები და სხვა ინფრასტრუქტურა	საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი		IV კვარტალი	ადმინისტრაციული რესურსი სახელმწიფო ბიუჯეტი

		5.1.1.4.	განთავსებულია ტაქტილური ბილიკები მხედველობის შეზღუდვის მქონე (უსინათლო, მცირემხედველი) პირებისთვის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ერთიანი მომსახურების ცენტრებში	შესრულებული სამუშაოები	საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი		IV კვარტალი	ადმინისტრაციული რესურსი სახელმწიფო ბიუჯეტი
		5.1.1.5.	შესწავლილია საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შენობა-ნაგებობებთან არსებული პარკირების სივრცეები შშმ პირთა მისაწვდომობის კუთხით და საჭიროების შემთხვევაში პარკირების ადგილი გაფართოებულია სტანდარტების შესაბამისად, რომელიც როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა კარიანი მანქანისთვისაა ადაპტირებული	შიდაუწყებრივი ანგარიში	საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი		III კვარტალი	ადმინისტრაციული რესურსი სახელმწიფო ბიუჯეტი

მიზანი 6.	**სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობის უზრუნველყოფა**
ამოცანა 6.1.	**კომუნიკაციის გაუმჯობესება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან**

აქტივობა		**აქტივობის შედეგის ინდიკატორი**		**დადასტურების წყარო**	**პასუხისმგებელი დანაყოფი**	**პარტნიორი დანაყოფი/უწყება**	**შესრულების ვადა**	**დაფინანსების წყარო**
6.1.1.	შშმ პირებთან საკონსულტაციო ჯგუფის შექმნა	**6.1.1.1.**	შექმნილია სამინისტროს საკონსულტაციო ჯგუფი და ჩატარებულია მინიმუმ 2 საკონსულტაციო შეხვედრა შშმ პირების, მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების და ამ სფეროში მომუშავე სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით	ჩატარებული შეხვედრების ოქმები	ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი		II – IV კვარტალი	ადმინისტრაციული რესურსი
6.1.2.	შშმ პირთა მონაწილეობის/ჩართულობის გაზრდა	**6.1.2.1.**	შშმ პირები ჩართულები არიან, მათ შორის, სამინისტროს შენობების ადაპტირების დაგეგმვისა და 2022 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესებში. უზრუნველყოფილია მათთან კონსულტირება გეგმის შესრულების სხვადასხვა ეტაპზე მათი რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით	შშმ პირთა ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტი / საკონსულტაციო შეხვედრების ოქმები	საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი		III კვარტალი	ადმინისტრაციული რესურსი